ოქმი:**ო12. 3725148001**

თარიღი:**28/05/2025**

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2025 წელი, 27 მაისი
ქ.ოზურგეთი
14.30-15:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ნადირაშვილი, ხ. ცერცვაძე, ნ. ჭანიშვილი, მ. ვაშალომიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ე. გორდელაძე, ვლ. ხავთასი, ბ. მელუა, ხ. თავდიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის ძირითადი პარამეტრები, ხოლო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსულობები და ხარჯები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომისიის ფუნქციების შესაბამისი პროგრამების დაფინანსებას, აღნიშნა, რომ პირველი კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 14, 078,ი ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 25,9 %-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 16 967,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 31,2%-ია. შემოსულობებში აღსანიშნავია „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი“, რომელიც წლიური გეგმის 45,5%-ითაა შესრულებული. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი